შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 30. კვირა, 23 ივლისი, 1906 წ. გაზეთის № 88

უ მ ა დ უ რ ი.

(რუსულით)

კაპიტან ბოკის მოსამსახურე სალდათმა, გრიგოლ ჟურკინმა, დილა-ადრიან მოუარა უცოლშვილო კაპიტანის ოთახებს, მოუმზადა და მიართვა საუზმე, როდესაც კაპიტანმა სამსახურში წასვლა დააპირა, გრიგოლი წინ გაექიმა და სრულებით მოულოდნელად მოახსენა:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჯარში დაბრუნების ნება მიმოძეთ!

იმიტომ იყო ეს მოულოდნელი, რომ მოსამსახურეების მუდამ მომდურავი ბოკი, რომელიც მალ-მალ სცვლიდა მათ, სხვებთან შედარებით, ჟურკინისა კმაყოფილი იყო ნახევარის

შიო ჩიტაძის დასაფლავება.—პროცესია მიხეილის ქუჩაზე.

წლის სამსახურით... გრიგოლი ჩუმი, სახე მოღუშული, მაგრამ ფხიზელი, ბრძანების აღმასრულებელი და სინიდისიერი მოსამსახურე იყო.

კაპიტანმა, ეს თხოვნა რომ მოისმინა, გაკვირვებით შეჰხედა და ჰკითხა:

— როგორ, დაგითხოვო? რათა?

ჟურკინმა არა უპასუხა რა.

— მე მსურს ვიცოდე, რატომ არ გინდა ჩემთან სამსახური? — გაიმეორა ბოკმა. მსახური თავ-ჩაღუნული ჩუმად იდგა.

— გესმის, მე შენ გეკითხები,—იმავე კილოთი სთქვა კაპიტანმა: რითიმე გაწყენინე?

— არა, თქვენო მაღალ—ბავ, არ გიწყენინებიათ...

— მაშ, რაშია საქმე? გინდა სხვა აფიცერთან გადახვიდე მსახურად?

არა, თქვენო მ—ბავ!—საჩქაროდ წამოიძახა ჟურკინმა. მინდა ჯარში ვიმსახურო...

— ეგ ერთად ერთი მიზეზია?

— დიაღ, თქვენო მ—ბავ!

— კარგად კი ასწონ-დასწონე შენი განზრახვა? შენი გადაწყვეტილება ეგ არის?

დიაღ, თქვენო მ—ბავ!

— ყური მიგდე,—უთხრა კაპიტანმა დამშვიდებულის ხმით:—მე შემეძლო, შენი თხოვნისთვის ყურადღება არც კი მიმექცია და მაინც დამეტოვებინე ჩემთან. მაგრამ მაგას არ ვიზამ. ადამიანმა სამუშაო თვითონ უნდა აირჩიოს. მე კი ჯარის-კაციც ადამიანად მიმაჩნია. იმ საქმეს, რომელიც შენ არ გიზიდავს და არც გიყვარს, გულით ვერ მოეკიდები. ამ შემთხვევაში, სჯობია, გაგანთავისუფლო. შენ ჯარში სამსახურის სურვილი გამოსთქვი და უფლება არა მაქვს დაგიშალო. კარგი, გაგანთავისუფლებ...

— დიდად გმადლობთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— მაგრამ გახსოვდეს კი: თუ გავიგე, რომ სხვასთან მოსამსახურედ დადგომა მოინდომე, ჯერ ერთი, არაფრის გულისთვის არ გაგიშვებ, მეორე—სიცრუისთვის სასტიკად დაგსჯი...

— მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!—დაეთანხმა საჩქაროდ ჟურკინი.

ცხადი იყო, ჟურკინს გადაეწყვიტა, თავის ნებით მოსამსახურედ აღარ დამდგარიყო...

კაპიტანმა ახალი მოსამსახურე მოსძებნა და ჟურკინი დაითხოვა.

შავგვრემანი, შუათანა ტანისა, შუბლ-ვიწრო წაბლის ფერ თვალებიანი ახალი მოსამსახურე დილა-ადრიან გამოცხადდა, სწორედ იმ დროს, როდესაც კაპიტანი სამსახურში წასვლას აპირებდა. კაპიტანმა უბრძანა ჟურკინს, თვლით ჩაებარებინა ნივთები და აეხსნა, რაში მდგომარეობს იმისი მოვალეობა, მერე წავიდა.

— ვერ მოურიგდი? რად გადიხარ?—ჰკითხა ახალმა მოსამსახურემ წინანდელს.

— მეყოფა... საწყაო ამევსო!—მოკლედ მოუჭრა სიტყვა გრიგოლმა.

შიო ჩიტაძის დასაფლავება. - პროცესია ეკლესიის წინ.

— ყაზარმებშიც ამბობდნენ, რომ ამ ბატონთან დიდხანს ვერავინ გასძლებსო... მკაცრი ხომ არ არის?

— შენი თვალით ნახავ, რაც არის... ჩვენ ვითმინეთ, შენც მოითმინე, სანამ ძალღონე შეგწევდეს.—უთხრა ჟურკინმა.

უნდოდა ერთის ზედგამოჭრილის სიტყვით აეწერა თავის წინანდელი ბატონი თავით ფეხამდე, მაგრამ საჭირო სიტყვა ვერ მოიგონა და მხოლოდ ამოიოხრა. .



ტფილისი.—უსაქმოდ დარჩენილნი ქალაქის საბჭოს წინ.

როდესაც კაპიტნის სახლიდან ყაზარმაში გადადიოდა, ერთს პატარა საყდარში შეიარა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ამ ბატონს თავი დააღწია. შეძლება რომ ჰქონოდა, ვინ იცის, პარაკლისიც გადაეხადნა, ისე ბედნიერად სთვლიდა თავის თავს. სანთელი კი მაინც დაანთო ყვითელი, კაპეიკიანი, კი არა, თეთრი, შაურიანი...

—

სამსახურიდან დაბრუნებისთანავე კაპიტანმა ახალს მსახურს დაუძახა. როდესაც მსახური შევიდა და კარებთან გაჩერდა, კაპიტანს ფეხებზედ ფოსტლები ეცვა, ტანზედ—ჯუბა, თავზედ ქუდი ეხურა და, დივანზედ წამოწოლილი, თუთუნს სწევდა.

— აბა, ძმობილო, მოდი ერთმანეთს გამოვეცნაურთ!—უთხრა კაპიტანმა.—უწინარეს ყოვლისა, მითხარ, რა გქვია? დამავიწყდა.

— „ხვომა“, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— ესე იგი—თომა, არა?

— დიაღ, თქვენო მაღალ—შობილებავ, „ხვომა“!..

— კიდევ „ხვომა“?—შენიშნა კაპიტანმა.—მაგნაირი სახელი ქვეყანაზედ არ არსებობს. თქვენ სოფლებში სახელებს სრულიად გადაამახინჯებთ ხოლმე. ლაპარაკი უნდა ისწავლო. ისარგებლე იმით, რომ სამხედრო სამსახურში მოჰყე. აქ ბევრს რასმეს ისწავლი... მაშ დაიხსომე, ხვომა კი არა, თომა ხარ...

— მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— რა გვარი ხარ?

— გორლენკო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— კარგი... რომელ გუბერნიიდან ხარ?

— კატერინოსლავის გუბერნიიდან, თქვენო მაღალ...

— კიდევ სტყუი.—შეაწყვეტინა სიტყვა ბოკმა.—კატერინასლავის კი არა, ეკატერინოსლავისა... რომელ მაზრიდან?

თომას ეშინოდა, კიდევ არ შესცდენოდა და მკაფიოდ არ გამოსთქვა სიტყვები:

— ლიაქსანდროვის მაზრიდან, თქვენო მაღ...

— ლიაქსანდროვის კი არა, ალექსანდროვის,—გაუსწორა კიდევ კაპიტანმა.—რა სოფელი ხარ? დავიჯერო, სოფლის სახელსაც გადაამახინჯებ?

— ჩერეშნი*) თქვენო მაღ.—ბავ—მხიარულად უპასუხა თომამ.

— გემრიელი სოფელია!—გაუცინრად გაიხუმრა კაპიტანმა.—ჩერეშნიში გყავს დედ-მამა ან და-ძმები?

— არა, თქვენო მაღ-ბავ! დედმამა დამეხოცა, ძმები კი არა მყოლია...

— მაშ არავინ დაგრჩა იქ? მარტო ხარ?

თომა დალონდა.

— ცოლი დამრჩა... გაპკა და...

— ცოლი?—გააწყვეტინა სიტყვა შეშინებულმა კაპიტანმა.

— დიაღ, თქვენო მაღ-ბავ...

— მერე, როგორ არა გრცხვენიან?!

თომას უარესად აებნა თავ-გზა, ვერ გაეგო, რად უნდა ყოფილიყოს „სირცხვილი“ და აღარც იცოდა, რა ეპასუხნა კაპიტანისთვის.

— დიდი ხანია, რაც ჯვარი დაიწერეთ?

— შემოდგომის აქეთ მესამე წელიწადი დაიწყო, თქვენო მაღ-ბავ...

—მაშ ჯარში გაწვევამდის ერთის წლის წინად შეგირთავს ცოლი?... შენ ხომ ჯერ ერთი წელიწადია, მხოლოდ, რაც ჯარში ხარ?

— დიაღ, თქვენო მაღ—ბავ!

— ვაი, რა სულელურად მოქცეულხარ! რა სასულელე ჩაგიდენია! განა არ იცოდი, რომ ჯარში გაგიწვევდნენ?

თომას ვიწრო შუბლი მოეღუშა და უფრო დაუვიწროვდა... რამდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა ამ „რამდენისამე ხნის წინად იმის წყალობით, რომ ერთს მიყრუებულ სოფელში სცხოვრობდა და არაფერი იცოდა, მასთან, რასაკვირველია, არც სამხედრო ბეგრის წეს-რიგი... იგი დედმამის ერთად-ერთი შვილი იყო და დარწმუნებული იყო ისიც და იმის მშობლებიც, რომ ჯარში არ გაიწვევდნენ. არც წაიყვანდნენ, კანონის ძალით, დედმამის სიცოცხლეში რომ შეერთო ცოლი. მაგრამ თომა ჯერ ოცის წლისა არც კი იყო, როცა მშობლები დაეხოცა, და, როდესაც ქონების ერთად-ერთი მემკვიდრე გახდა, დაუყოვნებლივ შეირთო ცოლი, რადგან სხვის დაუხმარებლად ვერ შესძლო გასძღოლოდა საქმეს შინაც და გარეთაც... ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ჯარში გაიწვევდნენ, რადგან „მარტოხელი“ იყო. დარწმუნებული იყო, რომ ნება არ ჰქონდათ, დაეშორებინათ ცოლს და შვილს, რომელნიც ისევ უნდა გამოეკვება, როგორც მოხუცებული მშობლები, და მამულს, რომელიც უნდა შეემუშავნა, რომ ოჯახიც შეენახა და სხვა და სხვა ხარჯი და გადასახადიც მოეშორებინა. მაგრამ გაიწვიეს ჯარში, გაშინჯეს, გამოსადეგად სცნეს და წაიყვანეს... რამდენმა ცდამ და ფულის ხარჯვამ ჩაუარა ამაოდ ამ უსწავლელს, გაუნათლებელ კაცს, როდესაც ქალაქდებს აძლევდა და სიტყვიერ თხოვნითაც

მეთვრამეტე ბატარეის არტილერისტნი, რომელნიც კავკაზში აჯანყდნენ. აჯანყებულნი ყარსში გაგზავნეს.

ჯვარს ეცვა „სამაზრო“ და საგუბერნიო საკრებულოებში! ხედავდა, რომ „სადღაც“ მიჰყავდათ... რამდენი ცრემლი ჰქონია და რამდენი მწუხარება გამოიარა, როდესაც ხუთის წლით

*) ჩერეშნი, ქართულად ბალი.

პატარა პატრიოტები.—სურათი ელსლეისა.

ეთხოვებოდა ახალგაზრდა ცოლს და პაწაწინა შვილს. რამოდენა ზარალი ნახა, როდესაც საჩქაროდ აძლევდა იჯარით ნახევარ ფასად თავის მიწას, რომ უზრუნველ-ეყო ამ ხუთი წლის განმავლობაში თავის ახალგაზდა ცოლის ხელ-მოკლე ცხოვრება, რომელიც მარტო, უკაცოდ, ვერ აუვიდოდა საქმეს, რასაკვირველია—ვერ შესძლებდა! ერთს და იმავე დროს უნდა ექსოვა, ემკო, ეთესა, ეფარცხა, ტყიდან შეშა ეზიდა, ცეცხლი დაენთო, სავაჭროდ ეარნა და აკვანი ერწია...

არ იცოდა ეს თომამ და, როდესაც გაიგო, დაგვიანებული იყო: ცოლშვილის პატრონი იყო...

— არ ვიცოდი, თქვენო მაღ—ბავ!—უპასუხა თომამ კაპიტანს.— ჩვენ არაფერი ვიცით,—დაუმატა და მწარედ ამოიოხრა.

— კანონში კი, ჩემო ძმაო, ნათქვამია: ვერც ერთი მოქალაქე ვერ გაიმართლებს თავს, კანონი არ ვიციო,—სთქვა ბოკმა და გააბოლა.

— ისინი მოქალაქეები არიან, თქვენო მაღ-ბავ!..

— შენ ვიღა ხარ?

— მე?... ყველამ იცის, ვინცა ვარ... წინად გლეხი ვიყავი, ეხლა სალდათი ვარ...

— გლეხიც და სალდათიც ისეთივე მოქალაქენი არიან...

თომამ გაიღიმა.

— ისინი რა მოქალაქენი არიან, თქვენო მაღალ-ბავ, როდესაც სწავლა არც კი აქვთ მიღებული... როგორ გავიგებ კანონებს, რომ კითხვა არ ვიცი...

— რატომ არ ისწავლე?

— სად უნდა მესწავლა? სასწავლებელი იყო, მაგრამ დახურეს...

— რათა?

— რა მოგახსენოთ, თქვენო მაღ-ბავ... ზოგი ამბობდა—ისე არ ასწავლიდნენ, როგორც მთავრობა ბრძანებდაო, ზოგი კიდევ—მასწავლებელს წაეჩხუბნენო...

— თუ შენ არ იცოდი კანონი, იმისთვის უნდა გეკითხნა, ვინც იცოდა,—დაასკვნა კაპიტანმა.—გაიგებდი და ცოლს აღარ შეირთავდი... ეხლა კი, ვინ იცის, რა მოხდეს!.. წარმოიდგინე, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში, ვიდრე სამსახურს გაათავებდე, ომი ასტყდა... თუნდ ოსმალებთან, ჩინელებთან, ერთის სიტყვით, ვისთანმე... კარგი... ჩვენც შენთან ერთად გაგვგზავნიან ომში. შესაძლებელია, მოგკლან... ხომ შესაძლებელია?

— დიაღ, თქვენო მაღ-ბავ,—დაეთანხმა თომა.

— რა მოუვა მერე შენს ცოლს? მერე შენ, მგონი, შვილიცა გყავს?

— მყავს, თქვენო მაღ-ბავ, პაწაწინა!—უპასუხა თომამ და ხმა-მაღლა ამოიოხრა, ისე რომ ოთახმაც კი ბანი მისცა.

— აბა!—წამოაყვედრა ბოკმა.—იმაზედ ფიქრიც კი საშინელებაა, თუ რა მოელით იმათ მაშინ...

— საშინელებაა, თქვენო მაღ-ბავ!—გაიმეორა თომამ და თვალებზედ ცრემლი მოერია.

— მარტოდ-მარტო უნდა იცხოვრონ, მიტოვებულებმა,—განაგრძო ბოკმა.—თქვენი გლეხები მიწასაც წაართმევენ... ეჰ, ჩემო ძმაო, სისულელე მოგსვლია, სისულელე! როგორ შეიძლება კაცის დაცოლშვილება? აი, მე კაპიტანი ვარ, ორმოცდა ხუთი "წელიწადი" შემისრულდა, მაგრამ უცოლშვილო კი ვარ...

„ბევრი ლაპარაკი გყვარებიათ, თქვენო მაღ-ბავ,—ფიქრობდა თომა:—თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე! დღეს ეს იკმარე... ეგრე შუაღამემდის რომ ვილაპარაკოთ, ფიქრები დილამდის აღარ დამაძინებს...“

*
* *

კაპიტანს კი ჯერ ბევრი ჰქონდა სალაპარაკო მასალა. ლაპარაკის საგანი მალე გამოსცვალა. თომას ეს ძალიან ეამა...

— რასაკვირველია, წარსულს ველარ დაიბრუნებ... შეირთე ცოლი, ეხლა ვეღარას იზამ.—გადასწყვიტა კაპიტანმა.

— დიაღ, თქვენო მაღ-ბავ!—დაემოწმა თომა.

— როდესაც სოფელში დაბრუნდე, ამხანაგებს ურჩიე, სამხედრო სამსახურის გათავებამდე, ცოლს ნუ შეირთავენ.

— ბატონი ბრძანდებით, თქვენო მაღ-ბავ!—უპასუხა თომამ და თანაც დაუმატა:—მაგრამ ისინი არ გამიგონებენ...

— რატომ?

— ჩვენ სამხედრო სამსახურამდე ოთხს წელიწადს სახლში ვმუშაობთ, როგორც ყველა გლეხი... უდედაკაცოდ კი ამ საქმის გაკეთება შეუძლებელია.

— კიდევ შენსას ამბობ!—სთქვა კაპიტანმა და ხელი ჩაიქნია —ველარ დაიბრუნებ.—გაიმეორა მან.—აი, რის დაბრუნებაც შეიძლება, მე და შენ დავიბრუნებთ... სწავლას დავიბრუნებთ... ჰხედავ... ყაზარმებში ასწავლიან. მაგრამ, რადგან შენ მემსახურები, მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ, თვითონ გასწავლო... გინდა ისწავლო წერა-კითხვა და ანგარიში?

— მაგაზედ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო მაღ-ბავ! მხოლოდ ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ... ეგ ეხლა არარაფერში გამომადგება...

— როგორ თუ არაფერში?...

— დიაღ, თქვენო, მაღ-ბავ... თავის დროზედ რომ ყოფილიყო, ცოტას მაინც ვისწავლიდი; მაშინ სასარგებლოც იქნებოდა. ეხლა კი სახლში დავბრუნდები და წიგნებისთვის არ მეცლება, რადგან ოჯახი და მიწა მექნება მოსავლელი. ტყუილად დავიტანჯებით, თქვენო მაღ-ბავ! რასაც ჩამასმენთ, სულ დამავიწყდება... მე, თქვენო, მაღ-ბავ, ასე გავატარებ ჩემს სიცოცხლეს. აი შვილი რომ წამომეზრდება, იმას კი უეჭველად...

— სისულელეა! ჯერ შენც ისწავლი. უეჭველად დავიწყებთ სწავლას... ეხლა კი ყური მიგდე! საჭმლების მზადება იცი?

— არა, ჩემო ბატონო, არ მიმზადებია...

— მაგასაც გასწავლი. მე წიგნში წავიკითხავ, რა საჭმელი როგორ მზადდება, შენ კი აკეთე. ადვილია. მე ბევრისთვის მისწავლებია. მხოლოდ ყურადღებით მოისმინე, დაიხსომე... სავაჭროდ დუქნებში ივლი. მაგრამ გახსოვდეს: ბატონის ფულს უნდა გაუფრთხილდე; მეტს ნუ მისცემ ნურაფერში. ისე ივაჭრე, როგორც შენთვის. მე ძალიან მეჯავრება, როდესაც ფულს ტყუილ-უბრალოდ ხარჯავენ... და ნურც იქურდებ!

— არა, თქვენო მაღალ—ბავ! მაგაზედ ვერ დაგეთანხმებით, რომ ვიქურდო.—იუკადრისა მოსამსახურემ.

— მე ისე გითხარი... ეს, რასაკვირველია, დიდი ცოდვაა. ამისი ნიჭი ყველას არა აქვს.

— დიაღ, თქვენო მაღალ—ბავ!

— მერე... არაყს სვამ?

— არა, თქვენო მაღ—ბავ!

— სრულებით არა სვამ?

— სრულებით...

— ეგებ, ხანდახან გიყვარს გადაკვრა?

— არა, თქვენო მაღ—ბავ!

— სრულებით არა სვამ?

თომა ოფლში გაიწურა.

— პირს არ ვაკარებ, თქვენო მაღ—ბავ! დაბეჯითებით განაცხადა თომამ.

— ეგ კარგია,—სთქვა კაპიტანმა და იქვე აუხსნა დაწვრილებით, რად არის კარგი.—მთვრალს კაცს ყველაფრის ჩადენა შეუძლია. ყველა სისაძაგლის. ანდაზადაც არას ნათქვამი: „მთვრალი კაცი მხეცზედ უარესიაო“... მსმელს კაცს არც ჩემს თავს ვანდობ და არც ჩემს ქონებას; ვერც მოსამსახურედ დავიყენებ... მაშ, შენ არა სვამ?—ერთხელ კიდევ ჰკითხა კაპიტანმა.

— არა...

— კარგი!.. ამასთანავე, ერთხელ და სამუდამოდ გიცხადებ: მე მეჯავრება გაუგონრობა... ერთი თქმა უნდა გეყოფოდეს, ისე რომ არ მათქმევინო: „ნუ ლაპარაკობ“. ბრძანება თვალის დახამხამებაზედ უნდა შეასრულო. ჯარ უნდა იცოდე—„მე მეგონაო“. არა, არა! ნურც იფიქრებ და ნურც გეგონება, ვიდრე შენ ჩემი ხელქვეითი ხარ. მე უნდა ვიფიქრო, შენ კი აასრულო. აი, თუ ასე მემსახურები, მშვიდობიანად ვიცხოვრებთ და, თუ გენდომება, სამსახურის გათავებამდე მემსახურები. მე არ მიყვარს მოსამსახურეების მალ-მალ გამოცვლა. მაგრამ იძულებული ვხდები, რადგან თვითოეულს თქვენთაგანს რაღაცა აქვს... ერთს ერთი ნაკლულოვანება აქვს, მეორეს—მეორე... თქვენი გამოისობით მეც ვწუხდები, უნდა გამოვცვალო, საქმეს შევაჩვიო და მეც თქვენ შეგიჩვიოთ... ჰო, აი კიდევ რა... შენ მოვალე ხარ უფასოდ მემსახურო, მაგრამ თუ კარგად და სინიდისიერად მემსახურები თვეში მანეთს გაჩუქებ.

— მაგაზედ მადლობას მოგახსენებ. თქვენო მაღ--ბავ,— თავდაჯერით სთქვა თომამ.

— ახლა კი წადი! ჩქარა შეეჩვიე ყველაფერს...

— მესმის, თქვენო მაღ-ბავ!...

„ძალიან ბევრს ლაპარაკობს“,—გაიფიქრა თომამ, როდესაც სამზარეულოში მიდიოდა.

დიმ. დეკანოზიშვილი.

(დასასრული იქნება)

— მე ორი პორტფელი მაქვს. ამისთანა პორთფელებით, იმედი მაქვს, გავუძღვე საქმეს...

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**